

სოციალური რისკები და მისგან დაცვის მექანიზმი

ასიკო ცინცაძე

ემდ, შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლილით მელიაძე-ფუტყარაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი ღერძი შრომითი პოტენციალია, რომელიც მუდმივად ფორმირდება, ვითარდება და იწარმოება. ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ არსებითად შეცვალა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სოციალისტური სახელმწიფო ხასიათდებოდა დასაქმების მაღალი დონით. იგი იყო წარმოების ყველა საშუალებების ერთადერთი მესაკუთრე, რაც ერთგვარ გარანტიას წარმოადგენდა ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების შეენარჩუნებისთვის. ამასთანავე სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი წარმოქმნილი სოციალური რისკებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე. საკუთრების ფორმების მრავალფეროვნებამ, წარმოების საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფოს მხრიდან სოციალური თუ სხვა ხასიათის რისკებისაგან დაცვის უზრუნველყოფა. ეს, ერთის მხრივ, ფასდება უარყოფითად, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში რისკების ზრდის ფაქტორი. მაგრამ მედლის ორი მხარე აქვს და მეორეს მხრივ, საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებამ აამძლავრა ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური თავისუფლება. რისკების ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ამოცანა: შექმნილიყო სოციალური დაცვის ისეთი ფორმები და მექანიზმები, რომლებიც ახალი სოციალურ-ეკონომიკური პირობების ადეკვატური იქნებოდა და მასში გაერთიანდებოდა სამუშაო ძალის, საწარმოს, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები.

საქართველოში გარდამავალი პერიოდი ხასიათდებოდა და კვლავაც ხასიათდება დასაქმების დაბალი დონით, სოციალური რისკების ზრდით და სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დახმარების შემცირებით. შესაბამისად ლოგიკური იქნებოდა თუ მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა კერძო სადაზღვევო კომპანიების მხრიდან სოციალური რისკების დაზღვევა,

მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ვინაიდან კერძო დაზღვევა უშუალოდ არის დაკავშირებული სადაზღვევო კომპანიის მომგებიანობასთან, რის საფუძველი დაზღვეულთა შენატანებია. გამომდინარე იქედან, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო დასაქმების მაღალი დონე, არის საფუძველი ითქვას, რომ სოციალური რისკების დაზღვევაში კერძო სადაზღვევო კომპანიების წილი ძალიან დაბალია ან ზოგიერთ სახეში საერთოდ არ ხდება დაზღვევა.

სოციალური დაზღვევის გაფართოების წინაპირობა არის სოციალური რისკის სწორად გააზრება, რომლის განმარტებისადმი ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. ვიდრე შევხებოდეთ სოციალური რისკების დაცვის მექანიზმების ფორმებსა და მეთოდებს, გავანალიზოთ სოციალური რისკების არსი, რომლის შესახებ ჯერ კიდევ მიმდინარეობს დისკუსიები ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ტრანსფორმაციის პროცესებმა გაამწვავა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გარდამავალ პერიოდში. მინიმუმამდე შეამცირა მოსახლეობის სოციალური მხადაჭერა და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელმა სოციალური რისკების დაცვის მექანიზმებმა დადებითი ეფექტი ვერ იქონია საზოგადოებაზე. სოციალურმა დაძაბულობებმა აამაღლა სოციალური რისკების ხარისხი, თუმცა მისგან დაცვის უზრუნველყოფა ახალ შექმნილ სადაზღვეო კომპანიებს არ სურდათ ან არ შეეძლოთ. აუცილებელი გახდა ჩატარებულიყო სოციალურ რისკების კვლევა, შექმნილიყო მისი კლასიფიკაცია და შემუშავებულიყო დაცვის მეთოდები. სოციალური რისკები დასავლეთის მეცნიერების კვლევის საგანს დიდი ხანია წარმოადგენს, მას იკვლევენ სოციოლოგები, ეკონომისტები, მაგრამ სოციალური რისკების წარმოქმნის წყარო, მათი განვითარების კანონზომიერებები და მისგან დაცვის მექანიზმების პირდაპირ გადმოტანა გამართლებული არ იქნებოდა, რადგან ქართული მენტალიტეტი, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა ფაქტორები მოითხოვს განსხვავებული მექანიზმების შექმნას და გამოყენებას. სოციალური რისკები კაცობრიობის განვითარების თანამდები განუსაზღვრელობაა.

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ რაც უფრო ვითარდებოდა კაცობრიობა, იზრდებოდა არსებული და ჩნდებოდა ახალი რისკები. კაპიტალიზმის ჩამოყალიბებამ სოციალური რისკები საზოგადოების განუყოფელი ნაწილი გახადა, რის საფუძველზეც ზოგიერთი სოციოლოგი

განვითარებულ საზოგადოებას „რისკების საზოგადოებას“ უწოდებს.

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არამდგრადობას და განუსაზღვრელობას სოციალური რისკების შესწავლის მართვის ყველა დონეზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ეკონომისტი ვ. ი. ზუბოკოვის განმარტებით „ნებისმიერი რისკი ყოველთვის არის სოციალური ხასიათის მატარებელი, რადგან იწარმოება სოციალური სუბიექტების მიერ, ხოლო მისი შედეგი გავლენას ახდენს მათსავე არსებობასა და ურთიერთქმედებაზე“ ან ყველა რისკი, რომლის ობიექტია ინდივიდები ან სოციალური ჯგუფები: „სოციალური რისკი“ – ინდივიდების ან სოციალური ჯგუფების უნარი აღიქვან გარემოს არახელსაყრელი პირობები სუბიექტური თავისებურებებისა და შესაძლებლობებისაგან დამოკიდებულებით.¹

არსებობს სოციალური რისკების ვიწრო გაგებაც, რომლიც მიხედვით სოციალური რისკი არის განსაზღვრული სოციალური ჯგუფების მახასიათებელი, რომლებიც იმყოფებიან რთული ცხოვრების პირობებში და აქედან გამომდინარე მუდმივად ზარალდებიან ნეგატიური ზემოქმედებით.

რისკის არსის ახსნა დაკავშირებულია მისი წარმოქმნის წყაროსთან, მიზეზთან, ამიტომ ზოგადად რისკები, რომლებიც შეიძლება ამოქმედდეს და ზარალი მიაყენოს სუბიექტს ან მის მატერიალურ მდგომარეობას მრავალფეროვანია. არსებული მოსაზრებით სოციალური რისკები ყველა დანარჩენი რისკებისაგან განსხვავდება შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

1. სოციალური რისკები არ შეიძლება იმ მიზეზების შედეგი, რომლებიც განპირობებულია ბუნებრივ-კლიმატური, ტექნოლოგიური პროცესებით ან ცალკეული პირების ქცევებით;

2. სოციალური რისკები მოიცავს მთელ საზოგადოებას, მაგარამ იგი უარყოფიდად აისახება მხოლოდ ცალკეული სოციალურ ჯგუფებზე.

სოციალური რისკი არის სოციალური პროცესების ცვლილების შედეგი, რომლის ნეგატიური გავლენა ვლინდება ცალკეული სოციალური ჯგუფების, როგორც რისკის ობიექტების არახელსაყრელი მდგომარეობის შექმნაში. სოციალური რისკები სახელმწიფოს სოციალურ უზრუნველყოფის სისტემის ბაზას წარმოადგენს. ქვეყანაში შექმნილი კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ისე უნდა იქნას აგებული, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ცალკეული სახის სოციალური რისკების რეალიზაციისაგან მიღებული ნეგატიური შედეგები. ნებისმიერი სახის

1 Зубков В.И. Социологическая теория риска: Монография.-М.: Изд-во РУДН, 2003.56-57.

რისკისაგან დაცვის მექანიზმი გარდა დაზღვევისა-ჯერ არ შექმნილა. მაგრამ საკითხი რთულდება, როდესაც სოციალური რისკებისაგან სა-დაზღვევო დაცვის საკითხი განიხილება საბაზრო ურთიერთობებზე აგ-ებულ ეკონომიკურ სივრცეში, სადაც დაზღვევა, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი სახე ორიენტირებულია მოგების მიღებაზე, ხოლო სოციალური რისკები თავისი ხასიათიდან გამომდინარე მიმზიდველი არ არის მზღვეველებისათვის. მოუხდავად იმისა, რომ ყველა სახის რისკი განუსაზღვრელია, მათი დაზღვევაში მიღება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის შესაძლებელი არახელსაყრელი მოვლენების განვითარების ალბათობის გაანგარიშება. რაც შეეხება ისეთ სოციალურ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია მთლიანად ქვეყანაში მიმდინარე სოციალური პირობების ცვლილებასთან, ალბათობის განსაზღვრა შეუძ-ლებელია, ამიტომ სოციალური რისკები ზოგადად კერძო სადაზღვევო კომპანიებისათვის მიმზიდველ პროდუქტს არ წარმოადგენს. და მაინც, საჭიროა განისაზღვროს სოციალური რისკების დაზღვევად და დაუზღვე-ვად რისკებად დაყოფის კრიტერიუმები. ჩამოყალიბებული კლასიფიკაცი-ით სოციალური რისკებს მიეკუთვნება: უბედური შემთხვევა, ავადმყოფო-ბა, მოხუცებულობა, ინვალიდობა, ორსულობა, უმუშევრობა. თითოეული მათგანი სუბიექტის სოციალურ მდგომარეობაზე აისახება, თუმცა ზო-გიერთ შემთხვევაში დადებითად, ზოგიერთ შემთხვევაში უარყოფითად. ზოგადად რისკების განმარტებიდან გამომდინარე, რისკი არის დროში განუსაზღვრელი მოვლენა, რომელიც შეიძლება დადგეს ან არ დადგეს. სწორედ არ დადგომის კუთხით განხილული რისკი არის მიმზიდველი სადაზღვევო კომპანიებისათვის, ხოლო დაზღვევის არსიდან გამომდინარე რისკი, რომელიც აუცილებლად რეალიზდება დაზღვევის ობიექტს არ უნ-და წარმოადგენდეს. ჩამოთვლილი სოციალური რისკებიდან ორსულობა, მოხუცებულობა შესაბამისი ასაკის ადამიანისათვის მაღალი ალბათობით ფასდება, ხოლო ყველა დანარჩენი რისკიანია, თუმცა მათი დაზვევადო-ბა დამოკიდებულია არა მხოლოდ სადაზღვევო საქმის განვითარებაზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, კინაიდან ნებისმიერი რის-კის დაზღვევა საჭიროებს სადაზღვევო შენატანის განხორციელებას, რაც უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში ვერ განხორციელდება. რისკი შეიძლება იყოს სუბიექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მახასი-ათებელი, როდესაც ამ გადაწყვეტილების ირგვლივ არსებობს სხვადასხვა ალტერნატივები, რომლებიც სხვადასხვა შედეგის მომტანია. მათ შორის

არსებობს ალტერნატივა, რომელიც დასრულდება არასახარბიელოდ. ამ განმარტების ღირებულებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ «რისკი» ყოველთვის არ წარმოადგენს მხოლოდ ზარალის მომტან საშიშროებას. მის რეალიზაციას შეიძლება მოჰყვეს დადებითი შედეგი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ რისკის რეალიზაციის ყველა შედეგი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი დაკავშირებულია უშუალოდ ადამიანის ქმედებებთან და განსაზღვრულ მოვლენებთან. რისკები როგორი წარმოქმნისაც არ უნდა იყოს წარმოიქმნება და რეალიზდება ბუნებაში, სამეურნეო სუბიექტების საქმიანობაში, ადამიანთა ჯგუფებში, სახელმწიფოში. რისკების თეორიაში კვლევის ობიექტია ნეგატიური შედეგი, რომელიც ყველაზე მწვავე ფორმას ღებულობს, როდესაც აუარესებს ადამიანის სოციალურ მდგომარეობას. სოციალური რისკების დაზღვევადობის სტატუსის განსაზღვრისათვის განმარტოთ სადაზღვევო მოვლენა, რომლისგანაც მიღებული შედეგი ექვემდებარება დაზღვევას. ამისათვის სადაზღვევო მოვლენა განვიხილოთ საწინააღმდეგო ფაქტორებით.

1. სადაზღვევო მოვლენა არ არის შემთხვევითი, იგი ხასიათდება მისი დადგომის უტყუარობით;
2. მოვლენის დადგომის შეუძლებლობა;
3. დანაშაულებრივი ქმედება, როდესაც დაზარალებული თვითონ იწვევს არახელსაყრელ შედეგებს;
4. არახელსაყრელი მოვლენის დადგომა, რომელიც დაკავშირებულია აზარტულ თამაშებთან და სხვა.

მ.ი. ფედოროვის განმარტებით: სოციალური რისკები, ეს არის სოციალურად არახელსაყრელი სიტუაციების წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფო სოციალურ დაცვასთან. ვ.დ. როიკი წიგნში “პროფესიული რისკები“ სოციალურ რისკს განმარტავს შემდეგნაირად: სოციალური რისკი არის საშიშროებათა მასიური სახეები, რომლებიც აუარესებენ მოსახლეობის დიდი ჯგუფების სოციალურ მდგომარეობას და ასევე სოციალურ რისკებად მიიჩნევა ის საშიშროებები, რომლებიც წარმოიქმნება საზოგადოებრივი ხასიათის მიზეზებით და მისგან დაცვა ინდივიდუალურად შეუძლებელია.¹ “ამ განმარტების ფართო გაგებით“ სოციალური რისკები, არის იმ

1 Роик В. (Валентин). Социальная модель государства: опыт западноевропейских стран и выбор России/Валентин Роик //Человек и труд.- 2005.-N 12.

ფაქტორთა ჩამონათვალი, რომლებიც არღვევენ მოქალაქეთა ნორმალურ სოციალურ მდგომარეობას მათი ჯანმრთელობის, შრომისუნარიანობის დაკარგვით ან სამუშაო ძალაზე მოთხოვნის არარსებობით, რაც იწვევს მათ მატერიალურ არაუზრუნველყოფას. მიუხედავად ამ განმარტების ფართო შინაარსისა და მეცნიერული მნიშვნელობისა, იგი ვერ მოიცავს სრულად იმ ფაქტორებს, რომლებითაც უნდა განისაზღვროს მისი დაზღვევადობის სტატუსი. ეს განპირობებულია, ჯერ ერთი, იმით, რომ სოციალური რისკების რეალიზაციის შედეგები ვრცელდება არა მარტო დასაქმებულ მოსახლეობაზე, არამედ უმუშევრებზეც. მეორე, ვ. დ. როიკი თავის განმარტებაში სოციალურ რისკებს უკავშირებს მხოლოდ მოქალაქეთა შრომით საქმიანობას, შრომის ბაზრის განვითარებას. სინამდვილეში კი სოციალური რისკების ზემოქმედება ვრცელდება შრომითი საქმიანობის ურთიერთობების გარეშეც: სხვადასხვა დაავადებები, დაზიანებები ავარიის შედეგად, ეკოლოგიური კატასტროფები და სხვა. სოციალური რისკები დაზღვევადობისმიხედვით არის სხვადასხვა, თუმცა ჯერ არ არსებობს საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რომლის მიხედვით სოციალური რისკები მიიღება დაზღვევაში კომერციული სადაზღვევო კომპანიების მიერ.

აზრთა სხვადასხვაობაა სოციალური დაზღვევის თეორიულ საკითხებთან მიმართებაში. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ სოციალური დაზღვევა უნდა იყოს სავალდებულო და უნდა განახორციელოს სახელმწიფომ სპეციალური ფონდებიდან; მეორენი თვლიან რომ, სოციალურ დაზღვევაში უნდა განცალკევდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა და იგი სავალდებულო უნდა იყოს დასაქმებულთა გარკვეული კატეგორიებისათვის; მესამენი თვლიან, რომ სოციალური დაზღვევა უნდა იყოს როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფილობითი პირადი დაზღვევის სახით. აზრთა სხვადასხვაობა, როგორც სოციალური რისკების, ასევე სოციალური დაზღვევის მიმართ აფერხებს სოციალური დაცვის თეორიის განვითარებას. სოციალური რისკები ფაქტიურად შედის კომერციული პირადი დაზღვევის ობიექტებში და სოციალურ დაზღვევასთან ერთად ემსახურება ერთი და იმავე მიზანს-ფიზიკური პირების ქონებრივი ინტერესების დაცვას, ამავე დროს ორივე სახის დაზღვევას აქვს ერთიანი საფუძველი მათი წარმოქმნის, განხორციელების და გამოყენებისათვის. ასეთ საფუძველს წარმოადგენს დაზღვევის რისკები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალური რის-

კი მწვავედა შემოსავლის დაკარგვისას, ვინაიდან ცხოვრების პირობების უზრუნველყოფისათვის საჭიროა ყველა ადამიანს შეეძლოს შრომა და ჰქონდეს სამუშაო. აქედან გამომდინარე, რისკის დადგომა შეიძლება განიხილებოდეს ორ შემთხვევაში: შრომისუნარიანობის დაკარგვა და სამუშაოს დაკარგვა. ყველა დანარჩენი სოციალური სტატუსის მატარებელი რისკი არის ამ ორი შემთხვევის გამოვლენის ფორმები. სოციალური რისკებისაგან დაცვა შეიძლება განიხილებოდეს ორი მიმართულებით: ერთი, მოქალაქეთა უზრუნველყოფა მინიმალური შემოსავლებით, მეორე, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს პირობებში მოქალაქეთა უზრუნველყოფა ცხოვრების ნორმალური პირობებით, რაც გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილება. შრომისუნარიანობის დაკარგვა, როგორც სოციალური რისკის ერთ-ერთი სახე დაკავშირებულია მრავალ გამომწვევ მიზეზებთან. ამიტომ მისი სრული ახსნისათვის საჭიროა გაანალიზდეს ის რისკები, რომელთა რეალიზაციის შედეგია შრომისუნარიანობის დაკარგვა. იგი შეიძლება გამოიწვიოს ავადმყოფობამ, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან, ტრავმამ, რომლის წარმოქმნის წყარო შეიძლება გახდეს საწარმოს ტექნიკური რისკები. სამუშაოს დაკარგვა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზებით. სუბიექტურია საწარმოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, დასაქმებულის სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა, მთავრობის გადაწყვეტილებები. ობიექტური მიზეზებია; ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური რისკები. როგორც აღინიშნა, რისკების წარმოქმნის მიზეზი არ შეიძლება იყოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები. ჩამოთვლილთაგან უნდა განვასხვავოთ შემოსავლების დაკარგვა ეკოლოგიური, ბუნებრივ-კლიმატური რისკების რეალიზაციის შედეგად. კერძოდ, ზოგიერთ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით დასაქმებულთა რიცხოვნებაში დიდი წილი თვითდასაქმებულია, რომელიც განმარტების თანახმად არის პირი, რომელსაც სოფლად გააჩნია მიწის ნაკვეთი, უვლის შინამეურნეობას ან ეწევა რაიმე სახის მომსახურებას. მართალია, უმუშევრობის პრობლემის კვლევა არ წარმოადგენს ნაშრომის კვლევის ობიექტს, მაგრამ სწორედ დასაქმების პრობლემებზეა დამოკიდებული სოციალური რისკების სიმწვავე. მისი რეალობას მორგებული განმარტება საფუძველს ჩაუყრის სოციალური დაცვის, როგორც სახელმწიფო,

ასევე კომერციული დაზღვევის მექანიზმების შემუშავებას. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს იმ შემოსავლის მიღების მიზნით, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მათი საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილება, ხშირად ეკოლოგიური, ბუნებრივ-კლიმატური რისკების რეალიზაცია აზარალებს. ასევე ნაწილობრივ ასეთი სახის სოციალური რისკებს ზრდის ქვეყანაში გაზრდილი პოლიტიკური რისკები. საქართველოს ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით საქართველოში უმუშევრობა 16.3%-ია, ხოლო დასაქმებულთა შორის 61,9 % არის თვითდასაქმებული, 38.0% დაქირავებული. ამ მონაცემებიდან გამომდინარე 61,9 % ადამიანებისა იმყოფება სოციალური რისკების ზემოქმედების ქვეშ, რომელიც საერთო ჯამში მიეკუთვნებიან სოციალური რისკების უმუშევრობის კატეგორიას¹ სოციალური რისკების განმარტებისათვის საფუძვლად გამოყენებული უნდა იქნას რისკის განმარტება, რომლის მიხედვით: რისკი ეს არის სავარაუდო მოვლენა, რომლის დადგომას მოყვება ზიანი ან ზარალი. სოციალური რისკების ჩამონათვალში არის გამოვლენის ფორმები, რომლის დადგომას ზარალი არ მოყვება, ასე, მაგალითად; ორსულობა, საპენსიო ასაკის დადგომა. ჩვენი აზრით სოციალური რისკი, რომელიც მატერიალურ ზარალთან არის დაკავშირებული, უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: სოციალური რისკი არის დროში განუსაზღვრელი, არახელსაყრელი მოვლენა, რომლის დადგომა სუბიექტს მიაყენებს მატერიალურ ზარალს.

1 იხ: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალები, 2010.